პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 165 (13857) | კვირა, 16 ივლისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

16 ივლისი მეტალურგის დღეა!

მოგილოცავთ დღესასწაულს, მეგობრებო!

სკოლის მშენებლებო, ტემპი და ხარისხი!

საბჭოთა ხალხი ახლა სუნთქავს ერთი მისწრაფებით — ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, რევოლუციისა, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, ერა შრომისა და გონების თავისუფლებისა და ზეიმისა, ერა ნამდვილი სახალხო ბედნიერებისა.

საბჭოთა ხალხის საიუბილეო შემოქმედებითი შრომის ამ დიდ აღმავლობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შრომას ისეთ დიდმნიშვნელოვან უბანზე, როგორიც სახალხო განათლებაა, კერძოდ, ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაა.

ეს ბუნებრივიც არის, რადგან სახალხო განათლების განვითარებისათვის, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის ზრუნვა გადაიქცა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრების კანონად. ისტორიას არ ახსოვს სასკოლო ქსელის ისეთი ზრდა, სახალხო განათლების დონის ისეთი ამაღლება, მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმის ისეთი განვითარება, როგორიც გვაქვს ამჟამად ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში. თუნდაც ერთი ციფრის მოყვანა ნათელს მოჰფენს ზემონათქვამის რეალურობას — მიმდინარე წელს მარტო სახელმწიფო ასიგნობებით გათვალისწინებულია ჩვენს ქვეყანაში აიგოს სასკოლო შენობები 970 ათასი მოსწავლის ადგილით.

ორგზის ლენინის ორდენოსანი მზიური საქართველო მუდამ მოწინავე რიგებში დგას სახალხო განათლების განვითარების, კერძოდ, სასკოლო მშენებლობის დარგში. წლითიწლობით ვითარდება სასწავლო დაწესებულებათა ქსელი, ათობით და ასობით ახალი სასკოლო შენობებით მშვენდებიან ჩვენი ქალაქები და სოფლები, მუშათა უბნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

თექვსმეტი ათასზე მეტი მოსწავლის ადგილს ველოდებით წელს ჩვენი მშენებლებისაგან, ოთხი ათასამდე ადგილს კი ბაგა-ბაღების აღსაზრდელთათვის, თითქმის რვა ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი უნდა გვქონდეს წელს ამშენებული საბინაო ფონდის (ინტერნატები და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები) სახით.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია სკოლების მშენებლებისათვის — საიუბილეოა ეს წელი და ტემპის ოდნავი შენელებაც კი არ გვეპატიება. რესპუბლიკის მშრომელთა შრომის გამარჯვებებს ფეხი უნდა აუწყონ თავიანთ საქმიანობაში იმ ადამიანებმაც, რომლებსაც პარტიამ, მთავრობამ, ხალხმა მიანდეს ჩვენი ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდისათვის საჭირო სასკოლო შენობების აგება, სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოება-განმტკიცება.

ახალი სასწავლო წელი, რომ იტყვიან, ცხრა მთას იქით არ არის. ტრადიციულად და გრაფიკის მიხედვით ჩვენი სკოლები და სკოლა-ინტერნატები ხომ ყოველმხრივ მზად უნდა იყვნენ ოცი აგვისტოსათვის. თუ ამას პრინციპად დავისახავთ, მაშინ დრო მეტად მცირე გვრჩება, და ამიტომაც საჭიროა ამ მცირე დროის მაქსიმალურად გამოყენება.

გულს ახარებს სიღნაღელთა, ქობულეთელთა, ქუთაისელთა, წყალტუბოელთა, წულუკიძელთა და ბევრი სხვა რაიონის ჭეშმარიტად დამკვრელური შრომის შედეგები სასკოლო მშენებლობებზე. ყველა სკოლა ერთ ცვლად იმეცადინებს! — ასეთია წულუკიძის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო განათლების მუშაკების სიტყვა, რაც საქმედ იქცევა.

ქობულეთელები დიდი ნაყოფიერებით განაგრძობენ თავიანთ შესანიშნავ ტრადიციას. ამჟამად რაიონში არ არის არც ერთი სოფელი, სადაც აშენებული არ იყოს ან ახლა არ შენდებოდეს კაპიტალური სკოლა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სკოლების-მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე მუშა-მოსამსახურეთა შრომითი მონაწილეობით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ორ მილიონ მანეთზე მეტია დახარჯული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბევრგან სასკოლო მშენებლობა ნამდვილ სახალხო საქმედ არის გადაქცეული.

როდესაც ასე ფართო ფრონტით არის გაჩაღებული სასკოლო მშენებლობა, უფრო არასასიამოვნოდ გვეცემა თვალში ჩამორჩენილი უბნები, ულაზათო, უღიმღამო მუშაობა ხარაჩოებზე, უინიციატივობა, მედღეხვალიობა. სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა კი ნამდვილად გვაქვს მთელ რიგ რაიონებში, მაგალითად, გარდაბნის, დმანისის, ბოგდანოვკისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მშენებლებს არ ჰქონდეთ საჭირო პირობები. მათ ყველა აუცილებელი პირობა აქვთ ჩამორჩენის დასაძლევად, მხოლოდ საჭიროა ადამიანთა შრომის სწორი ორგანიზაცია, ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენება, მასალებით შეუფერხებელი მომარაგება. აი აქ არის საჭირო პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური შეუნელებელი ყურადღება. მათ მშენებლობებზე უნდა დააწესონ კონტროლი, დახმარება.

მტკიცედ უნდა დავიხსომოთ, რომ სასკოლო მშენებლობის მთლიან კომპლექსში შედის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც. ამ უბანზე ტემპის შენელება ისევე არასაპატიოა, როგორც სასკოლო მშენებლობაზე. რედაქციაში კვლავ მოდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ბევრგან სოფელ ადგილებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა, კერძოდ, ჩასულ პედაგოგთა კომუნალური და სხვა სახის საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ზემდგომი ორგანოების არაერთი მითითებაა სოფლის მასწავლებლებისათვის ზრუნვის გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ.

მშენებლებისათვის ცხარე დღეებია! ყველა მშენებარე, წელს ასამუშავებელი ობიექტი ზუსტად გრაფიკის მიხედვით უნდა დამთავრდეს! ამასთან ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ მშენებლობის ხარისხი. უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლას ვაშენებთ შვილებისათვის, და არა მარტო შვილების, არამედ შვილიშვილთა, მთელი მომდევნო თაობებისთვისაც.

მაშ მაღლა ტემპი და ხარისხი, ამხანაგო მშენებლებო!

ლენინური პრემიები გადასცეს 1967 წლის ლაურეატებს

14 ივლისს კრემლში საზეიმოდ გადასცეს ლენინური პრემიები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1967 წლის ლაურეატებს.

კრემლის ხვერდლოვის დარბაზში შეიკრიბა იმ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა ბრწყინვალე პლეადა, რომელთა ნამუშევრები აჩქარებენ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მსვლელობას.

ლენინური პრემიის ლაურეატის დიპლომები და საპატიო ნიშნები გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. ვ. კელდიშმა, რომელიც გულთბილად მიესალმა დაჯილდოებულთ და ხაზგასმით აღნიშნა ამ მოვლენის განსაკუთრებული მნიშვნელობა ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსშესანიშნავ წელს.

(საკდესი).

საიუბილეო ვახტაზე

პრემია — რუსთაველ მეტალურგებს

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგის დღესასწაულის წინა დღეს მოსკოვიდან სახიხარულო ცნობა მოვიდა: სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს II კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით მიეკუთვნა მეორე ადგილი და ფულადი პრემია 35 ათასი მანეთის რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ ქართველმა მეტალურგებმა გადაჭარბებით შეასრულეს თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, რკინის ფურცლის და სხვა მეტალურგიული პროდუქციის სახელმწიფო დავალებანი.

წელს პირველად მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა თავი დააღწია ზარალიან მუშაობას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღო 922 ათასი მანეთი მოგება.

სურათზე: ზემოთ — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს № 1 ღუმელის მესამე ბრიგადა, რომლის წევრია ალექსანდრე ხიჯაკაძე, წარმატებით ხვდება მეტალურგის საკავშირო დღეს.

ფოტო ვ. გენგიურისა.

სურათზე: (ქვემოთ — მარცხნიდან) ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროსი მდნობელი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. გაჩეჩილაძე, მდნობელები ფ. გაჩეჩილაძე და ი. გუნიავა. ისინი საიუბილეო ვახტზე დგანან და მაღალ წარმატებებს აღწევენ.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ზესტაფონელებმა ვალდებულება შეასრულეს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი კარგი შრომითი შედეგით შეხვდა მეტალურგის დღეს. მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება, დაზოგა მილიონობით კილოვატ-საათი ელექტროენერგია, სამშობლოს მისცა 78.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება და აღმავლობით მუშაობს იულისშიც.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა უკვე გამოადნეს ათასობით ტონა ზეგეგმითი შენადნობი და შეასრულეს საიუბილეო ვალდებულება, რაც წლის ბოლოსათვის ჰქონდათ გათვალისწინებული.

გეგმა — გაღაჯარბებით

საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს „ავტორჩერმეტის“ კოლექტივმა, რომელიც შრომითი გამარჯვებებით ეგებება მეტალურგის დღეს, 6 თვის დამზადების გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. გათვალისწინებული 121.051 ტონის ნაცვლად დაამზადა 129.451 ტონა მეორადი შავი ლითონი. მთავრობის მიერ მოცემული დამატებითი დავალების ანგარიშში დამზადდა აგრეთვე 8.400 ტონა ლითონი.

ახალი მოსავლის თამბაქო

მეთამბაქოეობის რაიონებში დაიწყო ახალი მოსავლის თამბაქოს აღება. წელს რესპუბლიკაში გეგმით შეტანილ უნდა იქნას 180.600 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს ნედლეული. შეტანას შეუდგნენ აფხაზეთსა და აჭარაში, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში.

10 ივლისისათვის სულ შეტანილია 4.001 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ანუ დავალების 2,2 პროცენტი. მარნეულელმა მეთამბაქოეებმა ამ საიუბილეო წელს უნდა შეტანონ 38.500 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ლაგოდეხელებმა კი 30 მილიონი ზონარმეტრი. სულ მალე თამბაქოს შეტანა მასობრივად გაჩაღდება.

ლითონი

ღირსასწაულის წინ საკდესის კორესპონდენტმა ა. პეტრუხინმა სთხოვა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრს ი. პ. კაზანეცს ეამბნა, თუ როგორ შრომობს ახლა მეტალურგთა მრავალმილიონიანი არმია.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“, — თქვა მინისტრმა, — აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი გადაიქცა თანამედროვე მეტალურგიის ქვეყნად. წელს სსრ კავშირში ფოლადის წარმოებამ წელიწადში 100 მილიონ ტონას გადააჭარბა.

ჩვენ წარმატებით შევასრულეთ წლის პირველი ნახევრის გეგმა. გამოდნობილია 50,6 მილიონი ტონა ფოლადი მაშინ, როცა 1913 წელს, ლითონის გამოდნობამ ოთხ მილიონ ტონას ოდნავ გადააჭარბა. მას შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ფოლადის წარმოება 24-ჯერ გაიზარდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა ძმიმე ინდუსტრიის ბასტიონები — მაგნეტოგორსკის, კუზნეცკისა და ნიჟნი-ტაგილის კომბინატები, „ზაპოროჟსტალი“, „აზოვსტალის“, „კრივოი-როგსტალის“, „ჩერეპოვეცკის“ ქარხნები...

საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში ფოლადის მილების, ალუმინატისა და ფეროშენადნობთა წარმოების დარგში. ჩვენი ქვეყანა უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს შავი ლითონების წარმოების ყოველწლიური ზრდის ამსოლუტური ოდენობით. სსრ კავშირი უსწრებს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს საბრძმედე წარმოების ტექნიკური დონით. უფრო მაღალია ჩვენი ახალი საგლინავი დგანების მწარმოებლობა, ვიდრე საზღვარგარეთული დგანებისა.

თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების დარგში ჩვენს ქვეყანას კვლავ მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, მაგრამ ეს სხვაობა სწრაფად მცირდება. საბჭოთა კავშირი ახლა აწარმოებს მეტ ფოლადს, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია ერთად.

მეტალურგები განსაკუთრებული აღტაცებით ეგებებიან ბოლო ოქტომბრის ეროვნულ საბრძოლო დროშას, ეროვნულ ორდენებს, ოქროს medalebs, ლენინურ პრემიებს, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას.

მეტალურგიულ საწარმოებს ფართოდ გაავრცელონ ეს გამოცდილება.

ახლა ბევრი საინტერესო მოვლენა ხდება მეტალურგიაში. უწინარესყოვლისა ი ც ვ ლ ე ბ ა ფ ო ლ ა დ ს ა დ ნ ო ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ხ ე. იგი ვითარდება მძლავრი ჟანგბადის კონვერტორებისა და დიდი ელექტროფოლადსადნობი ღუმელების მშენებლობის გზით.

მეტალურგები ფართოდ იყენებენ ბუნებრივ გაზსა და ჟანგბადს — მეტალურგიული პროცესის საუკეთესო ინტენსიფიკატორებს. ბუნებრივი გაზი და ჟანგბადი ზრდიან აგრეგატთა მწარმოებლობას, ამცირებენ სათბობის ხარჯვას.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მძაფრად ვითარდება ელექტრონიკა, ავტომატიკა, ქიმია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დეტალების, მექანიზმებისა და კონსტრუქციების საიმედოობის, ხანგძლივობის პრობლემებს. უკვე ამჟამად ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ მივიღოთ ლითონი, რომელსაც უფრო მაღალი მექანიკური, განსაკუთრებული ფიზიკური და ქიმიური თვისებები აქვთ.

მეტალურგის დღისათვის სამინისტროს კოლეგიამ და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა „საპატიო მეტალურგისა“ და „საპატიო მაღაროელის“ წოდებანი მიანიჭა, „მეშახტის დიდების“, „სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვა 3.626 კაცი.

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ზრუნავს მეტალურგთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, — თქვა დასასრულ ამხ. კაზანეცმა. ამ მიზნებს ყოველწლიურად ხმარდება ასობით მილიონი მანეთი. ბევრ ჩვენს საწარმოს აქვს საკუთარი დასასვენებელი სახლები, პროფილაქტორიუმები, ტურისტული ბაზები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები, სტადიონები. ათეულ ათასობით მეტალურგი ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ყირიმის, კავკასიის, ურალისა და მოსკოვის ოლქის კურორტებზე.

...**მოდის ხუთწლედის ლითონი. მეტალურგები საიუბილეო ვახტზე დგანან.**

მოდის ხუთწლედის ლითონი

მავლობით შრომობენ საიუბილეო წელს. მათი დეკეზია: სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი, უკეთესი ხარისხის ლითონი უმცირესი დანახარჯებით. 1967 წლის ექვსი თვის გეგმის გადამეტებით მიღებულია ასეულ ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი...

„ცეცხლოვანი პროფესიის“ ადამიანებმა გააჩალეს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო სიმძლავრეთა კიდევ უფრო სრული გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მაკეევკის ქარხნის № 1 მარტენის ღუმელის ბრიგადა (მეფოლადეები ვ. ხოლიავკო, ვ. ნიკიტენკო, ნ. კოვალენკო, ი. პრიმინი). ამ კოლექტივმა შარშან გამოადნო თითქმის 550 ათასი ტონა ფოლადი და იკისრა ვალდებულება საიუბილეო წელს გამოადნოს ათი ათასი ტონით მეტი ლითონი. ეს ორჯერ და უფრო მეტად აღემატება სხვა საბჭოთა და საზღვარგარეთის ქარხნების ანალოგიური ღუმელების წლიურ მწარმოებლობას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მაკეევკელთა საუკეთესოდ გამოცდილება და ურჩია ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოებს ფართოდ გავრცელონ ეს გამოცდილება.

ახლა ბევრი საინტერესო მოვლენა ხდება მეტალურგიაში. უწინარესყოვლისა ი ც ვ ლ ე ბ ა ფ ო ლ ა დ ს ა დ ნ ო ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ხ ე. იგი ვითარდება მძლავრი ჟანგბადის კონვერტორებისა და დიდი ელექტროფოლადსადნობი ღუმელების მშენებლობის გზით.

მეტალურგები ფართოდ იყენებენ ბუნებრივ გაზსა და ჟანგბადს — მეტალურგიული პროცესის საუკეთესო ინტენსიფიკატორებს. ბუნებრივი გაზი და ჟანგბადი ზრდიან აგრეგატთა მწარმოებლობას, ამცირებენ სათბობის ხარჯვას.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მძაფრად ვითარდება ელექტრონიკა, ავტომატიკა, ქიმია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დეტალების, მექანიზმებისა და კონსტრუქციების საიმედოობის, ხანგძლივობის პრობლემებს. უკვე ამჟამად ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ მივიღოთ ლითონი, რომელსაც უფრო მაღალი მექანიკური, განსაკუთრებული ფიზიკური და ქიმიური თვისებები აქვთ.

მეტალურგის დღისათვის სამინისტროს კოლეგიამ და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა „საპატიო მეტალურგისა“ და „საპატიო მაღაროელის“ წოდებანი მიანიჭა, „მეშახტის დიდების“, „სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვა 3.626 კაცი.

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ზრუნავს მეტალურგთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, — თქვა დასასრულ ამხ. კაზანეცმა. ამ მიზნებს ყოველწლიურად ხმარდება ასობით მილიონი მანეთი. ბევრ ჩვენს საწარმოს აქვს საკუთარი დასასვენებელი სახლები, პროფილაქტორიუმები, ტურისტული ბაზები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები, სტადიონები. ათეულ ათასობით მეტალურგი ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ყირიმის, კავკასიის, ურალისა და მოსკოვის ოლქის კურორტებზე.

...**მოდის ხუთწლედის ლითონი. მეტალურგები საიუბილეო ვახტზე დგანან.**

ციფრები და ფაქტები

გეოლოგთა უკანასკნელი შეფასებით, ამ მილიარდ ტონაზე მეტი რკინის მადანია საბჭოეთის წიაღში. ეს მსოფლიოში უმდიდრესი ნედლეულის ბაზაა. ახლა საბჭოთა კავშირში ცნობილია ოთხასამდე რკინის მადნის საბადო.

სსრ კავშირში ყველაზე მაღალია რკინის მადნის მოპოვების დონე. წელს იგი 160 მილიონ ტონას გადააჭარბებს. უკვე პირველ ექვს თვეში გეგმის გადამეტებით ამოღებულია დაახლოებით ოთხი მილიონი ტონა ნედლეული.

დიდი ყურადღება ეთმობა ბრძმედების „საკვების“ ხარისხს. სამთამადნო საწარმოებმა დაიწყეს ისეთი კონცენტრატების გამოშვება, რომლებშიც დიდია რკინის შემცველობა — 65 პროცენტი და მეტი. ასეთი „მაღალკალორიული“ პროდუქტი ადიდებს ბრძმედების მწარმოებლობას და აუმჯობესებს თუჯის ხარისხს. (საკდესის კორ.).

„წყალმშენი“ დაწინაურდა

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ **„წყალმშენის“** კოლექტივმა საიუბილეო წლის პირველი ნახევრის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 102,7 პროცენტით შეასრულა, მათ შორის წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობისა — 106,9 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა 960 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები.

ამ სამუშაოთა შესრულებაში თავი ისახელეს და გეგმები გადაჭარბებით გაანაღდეს მეორე, მესამე, მეხუთე, მეექვსე, მერვე და მეცხრე სამშენებლო სამმართველოებმა, სპეციალიზებულმა ელექტროსამონტაჟო სამმართველომ.

ეს აცნობეს **„კომუნისტის“** რედაქციას ტრესტ „წყალმშენის“ მმართველმა **შ. გიორგაძემ,** მთავარმა ინჟინერმა **ა. კალანდადზემ,** პარტორგანიზაციის მდივანმა **კ. უნგიაძემ,** ადგილკომის თავმჯდომარემ **ი. გურგენიძემ.**

ამერიკელ და საგარეჯოელ მშრომელთა ნოგათი

სიღნაღელ და საგარეჯოელ მშრომელთა ნოგათი

სიღნაღის რაიონის მხვნელ-მთესველთა სასახელო საქმე

15 ივლისისათვის სიღნაღის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმა. სამშობლომ 5.050 ტონის ნაცვლად მიიღო 5.357 ტონა მარცვალი. მარცვლის დამზადება გრძელდება.

ამ წარმატების შესახებ რედაქციას აცნობეს პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ბელაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. პრაწაშვილმა და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარმა აგრონომმა ბ. აბრამიშვილმა.

საგარეჯოს რაიონის მშრომელთა წარმატება

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 15 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის მიმდინარე წლის გეგმა გარდა სიმინდისა. მიყიდულია 2.265 ტონის ნაცვლად 2.650 ტონა ხორბალი. განსაკუთრებით ისახელეს თავი კაკაბეთის, წითელი ოქტომბრის XXII პარტყრილობის სახელობისა და გიორგიწმინდის კოლმეურნეობებმა, საგარეჯოსა და იორის მერძევეობა-მეგობლტნეობის საბჭოთა მეურნეობებმა. სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა გრძელდება — გვაცნობებენ პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი **ო. საბაშვილი** და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი **ა. აჩელაშვილი.**

ჟური — სამშობლოს!

ლენინური პრემიები გადასცეს 1967 წლის ლაურეატებს

მიფრინავს „ვენერა-4“

Საკლანეტათშორისო ავტომატური სადგური „ვენერა-4“, რომელიც 1967 წლის 12 ივნისს გაუშვეს საბჭოთა კავშირში, განაგრძობს ფრენას ჰელიოცენტრული ორბიტით პლანეტა ვენერასაკენ. ერთი თვის ფრენის მანძილზე ავტომატური სადგური „ვენერა-4“ დედამიწას დაშორდა დაახლოებით რვა მილიონი კილომეტრით. ამ პერიოდში სადგურთან მოეწყო კავშირის ოცი სეანსი.

ამ სეანსების დროს მიღებულია დიდძალი ტელემეტრიული ინფორმაცია კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ფიზიკური პროცესებისა და სადგურის ხელსაწყოებისა და სისტემების მუშაობის შესახებ.

ტელემეტრიული მონაცემებით, სადგურის მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს. წნევა და ტემპერატურა სადგურში გათვალისწინებულ ფარგლებშია.

სადგურის ფრენის და ყველა სისტემისა და ხელსაწყოს მუშაობის მართვა წარმოებს რადიოკომანდებით დედამიწიდან და ავტომატურად სადგურის საპროგრამო-დროებრივი მოწყობილობით.

ავტომატური სადგურის „ვენერა-4“-ის მოძრაობა, სპეციალური საზომი კომპლექსის მონაცემებით, მიმდინარეობს ტრაექტორიით, რომელიც უახლოვდება გაანგარიშებულს.

1967 წლის 14 ივლისს 16 საათისათვის მოსკოვის დროით სადგური „ვენერა-4“ 8 მილიონ 320 ათას კილომეტრზე იყო დედამიწიდან, დედამიწის ზედაპირის იმ წერტილის თავზე, რომლის კორდინატებია სამხრეთის განედის 12 გრადუსი და 14 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 21 გრადუსი და 31 მინუტი.

სადგურთან რადიოკავშირის შემდგომი სეანსები მოეწყობა ფრენის პროგრამის შესაბამისად.

სადგურიდან მიღებულ მთელ ინფორმაციას ამუშავებს და განაზოგადებს საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი.

ვარსკვლავიანი ცის ატლასი

ყველაზე სრული იქნება ვარსკვლავიანი სამყაროს ატლასი, რომლის შედგენა დაიწყო ცნობილმა საბჭოთა ასტრონომმა აკადემიკოსმა ა. ა. მიხაილოვმა. ამას იუწყება საკდესის კორესპონდენტი პულკოვოდან.

9.100 ვარსკვლავი იქნება ნაჩვენები ატლასის ოც რუკაზე.

ატლასის შესადგენად, რომელსაც მომავალ წელს გამოსცემს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერმა გამოიყენა მსოფლიო ასტრონომიული მეცნიერების უახლესი მონაცემები.

საქართველოს სსრ

დე გოლი კანადაში გაემგზავრა

პარიზი, 15 ივლისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი შ. დე გოლი ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა კანადაში.

კანადაში ყოფნის დროს დე გოლი დაათვალიერებს მსოფლიო გამოფენას და შეხვდება კანადის პრემიერ-მინისტრს ლ. პირსონს.

იუგოსლავია ეხმარება არაგულ ქვეყნებს

ბელგრადი, 15 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი **გ. კისელიოვი** გვატყობინებს:

მთელ იუგოსლავიაში — მიტინგებზე, კრებებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების სხდომებზე გაისმის ძლავრი პროტესტი ახლო აღმოსავლეთში აგრესიის წინააღმდეგ. იუგოსლავიის საზოგადოებრიობა მტკიცედ უჭერს მხარს არაბულ სახელმწიფოებს სამართლიან ბრძოლაში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის და დაკარგობილი არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისათვის.

იუგოსლავი მშრომელები სოლიდარობას უცხადებენ არაბული ქვეყნების ხალხებს და ეხმარებიან ამ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც გახდნენ ისრაელის აგრესიისა და მათი მრმზრე იმპერიალისტური ძალების მსხვერპლნი. იუგოსლავიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა კომიტეტი, რომელიც დახმარებას უწევს ახლო აღმოსავლეთში მომხდარი აგრესიის მსხვერპლთ, იღებს მრავალ ცნობას იმის შესახებ, რომ იუგოსლავიის საშრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებმა გადაწყვიტეს გამოყოს ერთი დღის ხელფასი არაბული ქვეყნების მოძძე ხალხების დასახმარებლად.

მნიშვნელოვან სახსრებს გამოყოფენ იუგოსლავიის პროფკავშირული ორგანიზაციები. ამ დახმარებამ უკვე 750 მილიონ ძველ დოლარს მიაღწია. იუგოსლავიიდან არაბულ ქვეყნებში, რომლებიც აგრესიის გამო დაზარალდნენ, გაიგზავნა მედიკამენტებით, სისხლის პლაზმით, კვების პროდუქტებითა და სხვა საქონლით დატვირთული გემები.

პატრიოტები უტევენ

პანოი, 15 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა ახალი დარტყმა აგემეს ამერიკელ აგრესორებსა და მათს მარიონეტებს. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სააგენტოს, იუწყება, რომ 7 და 8 ივლისს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა კუანგჩის პროვინციაში მოსპეს 160 ამერიკელი და მარიონეტული ჯარისკაცი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და არმიის აღჭურვილობა.

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ!

ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲗᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲜᲐ

მარტენის საამქროში უჩვეულო ხმაურის გამო პირველი ღუმელის მეფოლადემ ზ. ყველაშვილმა თავის ხელისშემწყობს მ. ირემაშვილს უსტაყულაციით რაღაც უჩვენა. ამ უკანასკნელმა მაშინვე გაიგო, რომ ახლა, ღუმელის გაწყობისას, საჭიროა სამართავი პულტიდან ღუმელის კარის რიგრიგობით აწევ-დაწევა.

ღუმელის გაწყობა მემარტენეთა საქმიანობაში ერთობ საინტერესო და რთული პროცესია. აქ ოდნავ დაგვიანებას ან აჩქარებას შეუძლია ტექნოლოგიური რეჟიმის დიდი დარღვევა გამოიწვიოს. ამიტომ არის, რომ მეფოლადე ერთი თვალით ღუმელისაკენ რომ იხედება, მეორით სამართავი პულტისაკენ იცქირება და გულისყური იქვე გაკეთებული საკონტროლო ხელსაწყოებისაკენ აქვს მოკურნობილი. მეფოლადეს, როგორც წესი, სამი ხელისშემწყობი ჰყავს. მათ თანაშემწეებსაც უწოდებენ, მაგრამ, ვფიქრობ, არ გვიწყენენ იმენი, თუ კიტყვით, რომ მეფოლადის „მარჯვენა ხელს“ მაინც კედელზე ალმართული საკონტროლო საზომი ხელსაწყოები წარმოადგენენ. სწორედ ამ ხელსაწყოების დაბმარებით ახდენს მეფოლადე ორთქლის, ჰაერის, გაზის, ტემპერატურისა და სხვათა რეგულირებას.

...ღუმელის გაწყობიდან ფოლადის გაშვებამდე ყველა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ყველაფერს რომ მორჩნენ, მეფოლადეებმა ცოტაოდენი დაისვენეს. არითმეტიკულ გაანგარიშებას შეუდგნენ. (ალმოჩნდა, რომ საიუბილეო ვატი წარმატებით დაემთავრებინათ. თურმე 200-ტონიანი ნადნობი 7 საათში გაუშვეს. ამას მეტალურგები ჩქაროსნულს უწოდებენ, იმიტომ რომ ნადნობის გაშვების დაწესებული ნორმა რვა საათია. იმ ღღეს მეზობელ ღუმელებზე მომუშავე ზ. გამყრელიძის, ა. კაპანაძის, ა. ნასარიძის, დ. გოგოლაშვილის, ტ. იოსავას, ი. გურგენიძის და გ. სიგიუას ბრიგადებსაც არ შეურცხვენიათ თავი. თვითეულმა მათგანმა 30-40 წუთით ადრე გაუშვა ნადნობი და ამით წარმატებით დაავგვირგვინა საოქტომბრო ვაჩტი.

საამქროს პარტბიუროს მდივანს ე. ჩიხლაძეს უბის წიგნაკში ალნიშნული აქვს ყველა მეფოლადის მაჩვენებლები. მისგან შევიტყე, რომ მეფოლადე შ. გელოვანს გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ჰქონია 600 ტონა ფოლადი, ზ. გამყრელიძეს — 593 ტონა, ი. მეტრეველს — 452 ტონა, შ. შუბითიძეს — 451 ტონა, გ. სპანდერაშვილს — 406 ტონა.

— რაკი მაჩვენებლებზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი,— გვეუბნება პარტბიუროს მდივანი, — იმასაც გეტყვით, რომ ამ საიუბილეო წელს საამქროში არ არის არცერთი მეფოლადე თუ ღუმელი, რომელიც გადაჭარბებით არ ასრულებდეს დავალებას. ამან განაპირობა ის, რომ ნახევარი წლის გეგმა საამქროს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა. მეტალურგებმა სხვა მაჩვენებლების მხრივაც არ შეირცხვინეს თავი. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდეს 1,7 პროცენტით, თვითღირებულების შემცირების ხარჯზე ნახევარი წლის ეკონომიურმა ეფექტმა რამდენიმე ათას მანეთს გადააჭარბა. გამოთვლილია ღუმელების მდგრადობის მაჩვენებელი რემონტიდან რემონტამდე. იგი გაზრდილია გეგმასთან შედარებით 32 ნადნობით. ამას შეიძლება რეკორდი ვერ ვუწოდოთ, მაგრამ ქართველი მეფოლადეების დიდ წარმატებაზე რომ ლაპარაკობს, მტკიცება აღარ სჭირდება...

საამქროს უფროსი შ. ღიბრაძე ღუმელებს იშვიათად სცილდება. მას ჩვეულებრივი მეფოლადისაგან ვერც კი გაარჩევ. აცვია სპეცტანსაცმელი, გაკეთებული აქვს სპეციალური სათვალე და ზოგჯერ მეფოლადეთა გრძელი რკინის კეტიც უჭირავს ხელში. რას იზამ, ეს ხომ მისი ძველი პროფესიაა. იგი პირველად აქ მოვიდა, როგორც ტექნიკოსი და კარგა ხანს მეფოლადედაც იმუშავა, შემდეგ მოსკოვში წავიდა სასწავლებლად და ინჟინრის დიპლომი მიიღო. კვლავ მშობლიურ საამქროს დაუბრუნდა. ჯერ ცვლის ოსტატად იმუშავა, შემდეგ კი — ცვლისა და საჩამოსხმო უბნების უფროსად, საამქროს უფროსის მოადგილედ და, როცა ყველა უბანზე „გამოცდა“ წარმატებით ჩაიარა, რეკომენდაცია მისცეს საამქროს უფროსის პოსტზე. ოთხი წელია, რაც შ. ღიბრაძე მეტალურგიული ქარხნის ამ წამყვან საამქროს ხელმძღვანელობს. ამ ხნის მანძილზე კოლექტივმა არ იცის რა არის ჩამორჩენა.

საამქროს კოლექტივს უყვარს თავისი უფროსი და აფასებს მას.

ამ უკანასკნელ დროს საამქროში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელეს. საჩამოსხმო ჯიქის ბუდე, რომელიც ხშირად ზიანდებოდა ტემპერატურის ცვალებადობის გამო და იწვევდა ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას, შეცვალეს ეგრეთწოდებული მოტეპანილი ბუდით. ეს სიახლე საშუალებას აძლევს საამქროს კოლექტივს ცხელ მდგომარეობაშივე უზრუნველეყოს საჩამოსხმო ჯიქის დაყენება. ეს კი საბოლოო ანგარიშით იძლევა იმის გარანტიას, რომ ნადნობის ჩამოსხმისას ადგილი არ ექნება რაიმე შეჩერებისა თუ შეფერხების შემოხვევებს.

მერე და ვინ არიან ამ ტექნოლოგიური სიახლის განხორციელების ინიციატორები?

— პირველ რიგში საამქროს უფროსი შ. ღიბრაძე, უფროსი ოსტატები გ. ნებერიძე და რ. ფერაძე, აგრეთვე საჩამოსხმო უბნის უფროსი თ. პარფენოვი და მუშები ა. ტეფნაძე და ვ. ბარბაქაძე.

ამჟამად საამქროს ღუმელები 200 ტონიან ნადნობს უშვებენ. ადრე კი ღუმელების წარმადობა 120-160 ტონას უდრიდა. ცხადია, ღუმელების წარმადობის ესოდენ დიდი ზრდა თავისთავად ვერ მოხდებოდა. იგი შედეგია მთელი კოლექტივის დაუზარელი და შემოქმედებითი შრომისა.

ამჟამად კი საამქროს მუშა-მოსამსახურეთა წინაშე ერთი მეტად რთული პრობლემა დგას. იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმით ქართველმა მეფოლადეებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ პროდუქციის წარმოება, დღის წესრიგში დგას დნობის პროცესში სიახლის გამოყენების საკითხი.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ ტექნიკური სრულყოფის სიკეთეზე, მოკლედ ვიტყვით: 8 საათიდან 5-6 საათამდე შემცირდება ფოლადის დნობის დრო. ამდენად ამ პრობლემის გადაწყვეტას ახლა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და სწორად იქცევიან საამქროს ხელმძღვანელები, წარმოების ნოვატორები და საერთოდ მთელი კოლექტივი, როცა ეძებენ და პოულობენ მისი გადაწყვეტის რთულ, მაგრამ სწორ გზებსა და მეთოდებს.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველ მეტალურგთა ერთი ჯგუფი, მათ შორის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე, ამავე ქარხნის მთავარი ინჟინერი ო. სულაძე, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური დანადგარის უფროსი გ. ღოღობერიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ზ. ჩხეიძე და სხვები წარდგენილი არიან სახელმწიფო პრემიაზე.

სამამულო მეტალურგიის პრაქტიკაში რუსთაველმა სპეციალისტებმა პირველად დანერგეს ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური დანადგარი, რითაც არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მთელი მსოფლიოს მეტალურგების ყურადღება მიიპყრეს. ასეთი სრულფასიანი, ანუ 200 ტონიანი ნადნობების ჩამოსხმა, რაც აქ წარმატებით აითვისეს, არა აქვს მსოფლიოში არცერთ მეტალურგიულ ქარხანას, ოღონდ იდეა უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარებისა განხორციელებულია სხვა ქვეყნებშიც.

რით იუპრობს ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲔᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ? ᲠᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲛᲝᲚᲓᲔᲕᲡ ᲛᲐᲡ?

აქ ჩამოსხმული ნადნობი ითვლება ნახევარფაბრიკატად და მას ალარ ესაჭიროება შემდგომი გადამუშავება ბლუმინგის საამქროში. ამასთან სრულიად გამორიცხულია საბოლოვე ეზოს მომსახურება.

უფრო მეტიც. მისი წლიური ეკონომია იმდენია, რომ ამ თანხით შეიძლება აშენდეს 20 ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ანდა დამზადდეს 6.000 ტრაქტორი.

17 წელი გავიდა, რაც რუსთაველმა სპეციალისტებმა პირველი ქართული ფოლადის გამოშვება უპატაჟეს დედა-სამშობლოს. ეს იყო 1950 წლის 27 აპრილს. აქედან დაწყებული ბევრი მეფოლადე არა მარტო თავისი საქმის კარგი სპეციალისტი გახდა, არამედ საამქროში ხელმძღვანელი პოსტიც დაიკავა. მაგალითად, როცა პირველ ფოლადს უშვებდნენ, შ. კუხალეიშვილი მაშინ რუსეთიდან მოწვეული მეფოლადის ვ. ბულგაკოვის პირველი ხელისშემწყობი იყო. ახლა კი მას ხელთ უპყრია ინჟინრის დიპლომი და საამქროს უფროსის მოადგილეა.

საამქროში ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობენ აგრეთვე ყოფილი მეფოლადეები ვ. გიგიბერია, თ. ბარბაქაძე და მრავალი სხვა. მათ მიერ ალნარდილი ახალგაზრდობა წარმატებით აგრძელებს წინამორბედთა ესტაფეტას.

...დღედაღამ განუწყვეტლივ ბოლავენ მარტენის ღუმელები. გავარვარებული ლავების წინ ვაუკაცურად დგანან ქართველი მეფოლადეები და ცეცხლთან ჭიდილში სამშობლოს საკეთილდღეოდ იძლეიან სულ მეტ და მეტ ფოლადს.

უყურებთ ამ გრუზა ბიჭების შრომასა და შემართებას, და გაოცებთ მათი ესოდენ დიდი და დაუდალავი ენერგია.

ბარაქალა თქვენს ვაუკაცობას, რუსთაველო ფოლადმდნობელებო!

ზ. მერკვილაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: 17 წელიწადია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს მარტენის საამქროს „მეფოლადე შოთა შუბითიძე, რომელიც საწარმოში ერთ-ერთი მოწინავეა.

ფოტო ვ. გენგიურისა.

ᲡᲐᲚᲬᲗᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲨᲠᲘᲤᲘᲗ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მესამედი საუკუნეა გრძელდება ორი ძოძე რეპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს მაღაროელთა მეგობრობა. მეტალურგიული მარგანეცსათვის ერთმანეთს ეკიბრებიან ნიკოპოლისა და ჭიათურის მაღაროელები. მათ შორის გამართულია მეგობრული მიწურ-მოწერა, დელეგაციების გაცვლა.

ამჯერად უკრაინაში გაემგზავრა ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კპ ჭიათურის ქალაქკომის მდივანი გ. ნოზაძე ხელმძღვანელობს. დელეგაციაში შედიან: დიმიტროვის სახელობის მაღაროს მუშა, სოციალისტური შრომის გმირი პ. გოგატიშვილი, ამავე მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი აკ. სხირტლაძე, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მეგიგე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჭიღლაძე, ლენინის სახელობის მაღაროს გამგე გ. ქაშუშაძე და ამავე მაღაროს მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი თ. მიქაშავიძე, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. მახათაძე, მარგანტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს მთავარი ინჟინერი დ. ჩიხელიძე. პერევისის მაღაროს უსაშიშრობის ინჟინერი ლ. ლებანიძე, მარგანტრესტის სამმართველოს ინჟინერი შ. ნიორაძე და თ. წერეთელი და ახალი ითხვისის მაღაროს უბნის გამგე ნ. კიკნაძე.

ჭიათურელები გაეცნობიან ნიკოპოლისა და ორჯონიკიძის მარგანეცის ტრესტების კოლექტივების შრომას, ყოფაცხოვრებას. მეგობრები ურთიერთ გაუზიარებენ საწარმოო გამოცდილებას. ქართველი მაღაროელები დაესწრებიან მეტალურგთა დღის აღსანიშნავ ზეიმს უკრაინაში, შეამოწმებენ საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲜᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ

სკოლა-ინტერნატის პირველადი პარტორგანიზაციიდან რაიკომში ყველა საჭირო დოკუმენტებიანად შემოვიდა საქმე ერთი მასწავლებლის სკკ წევრად მიღების შესახებ. მაგრამ ერთი რეკომენდაცია გაცემულია პარტიის წევრის მიერ, რომელიც ამ სკოლაში დარაჯად მუშაობს. ჩემი აზრით, თვისი სამუშაოს ხასიათის გამო პარტიის ამ წევრს არ შეუძლია იცოდეს, თუ ნამდვილად როგორ მუშაობს მასწავლებელი, და საქმიან თვისებათა დახასიათება მხოლოდ ფორმალური იქნება.

ამასთან დაკავშირებით რჩევა მივეცი შეეცვალათ რეკომენდაცია და საქმე პირველადს პარტორგანიზაციაში დავბარდნე. ამ შემთხვევაში სწორად მოვქეცი თუ არა?

ე. ᲖᲚᲝᲒᲘᲜᲡᲙᲘ,

უზბეკეთის კპ ტურტკულის რაიკომის პარტიაში მიღების საკითხთა და კომუნისტების პერსონალურ საქმეთა წინასწარ განმხილველი შტაბგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარე.

პატივცემულო ამხანაგო ზლობინსკი! თქვენ არასწორად მოქცეულხართ. სკკ თვითეულ წევრს, მიუხედავად მისი თანამდებობისა, თუ აქვს აუცილებელი პარტიული სტაჟი და სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში ერთობლივი საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობით იცნობს ამხანაგს, რომელსაც პარტიაში შესვლა სურს, უფლება აქვს მისცეს მას რეკომენდაცია. ეს უფლება აქვს პარტიის იმ წევრსაც, რომელიც, ვთქვათ, დარაჯად მუშაობს, პარტიაში შესასვლელად სკოლის მასწავლებლისა თუ მოცემული კოლექტივის ყოველი სხვა წევრისათვის რეკომენდაციის მიცემის მხრივ. მას ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ არა ყურმოკრეულად, არამედ არსებითად იცოდეს, თუ როგორ ეკიდება შემსაღელი თავის საწარმოო მოვალეობებს, რა მონაწილეობას იღებს იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორ იქცევა ყოფაცხოვრებაში და ა. შ. ასეთი რეკომენდაცია შეესაბამება სკკ წესდების მოთხოვნებს.

რა თქმა უნდა, თუ რეკომენდაციაში არ არის შემსვლელის საქმიანი, პოლიტიკური და მორალური თვისებების დახასიათება ან თუ ეს თვისებები არაობიექტურად არის ნაჩვენები, ანდა ფაქტებს კომისია გვერდს ვერ აუვლის. შტაბგარეშე კომისიების შექმნის შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საუბარია, რომ ისინი ენინიშნიან სკკ რიგების შესვლის შესახებ განცხადების შეტანს და ამოწმებენ დოკუმენტების გაფორმების სისწორეს. თუ შემოწმებამ ცხადყო რომ პირველადს პარტორგანიზაციას დაუშვია შეცდომები, ან დაიბადება ეჭვი პარტიაში შემსვლელის შესახებ, კომისიას შეესაბამისი თვისი წინადადებანი შეაქვს პარტიის რაიკომის ბიუროზე.

მაგრამ, როგორც წერილიდან ჩანს, ეს წესი თქვენთან არ ყოფილა დაცული. საქმე პირველადს პარტორგანიზაციაში რომ დაბარებულიყო, ამით თითქოს გააუქმეთ პარტიული კრების გადაწყვეტილება. კომისიას კი ასეთი უფლება არა აქვს. მას არ შეუძლია გააუქმოს პარტორგანიზაციის გადაწყვეტილება ან გადაასინჯვინოს მას თავისი დადგენილება. ამის უფლება აქვს მხოლოდ პარტიულ კომიტეტს.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲜᲘᲐ ᲨᲘᲜᲨ“ № 12.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

თბილისში გაიმართა საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა აქტივის კრება. მოხსენება — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება და ნახევარი წლის გეგმის შესრულების შედეგები — გაკეთა საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ფ. დუმბაძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი გ. აბხაძე, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ი. კაკალია, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი გ. რუხაძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ს. ჯიოევი, ფოთის საყოფაცხოვრებო სამსახურის სამმართველოს უფროსი მ. სესკურია და სხვები. (საქდისი).

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საოქტომბრო კითხვა ეწყობა აგრეთვე ენგურჰესის მშენებლებთან, ენგურჰესელდაკომბინატში, საკონსერვო ქარხანაში.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ამერკაკასიის მოძმე რესპუბლიკების მეორე ინდუსტრიული ცენტრების — ქუთაისის, ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელთა მეგობრობას, ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებასთან ერთად, კიდევ უფრო განამტკიცებს ერთობლივი სამეცნიერო, სპორტული და მასობრივ-კულტურული ღონისძიებები.

საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გაცვლითი ლექციების ციკლი სამივე ქალაქის მშრომელებისათვის.

ქუთაისიდან ლენინაკანსა და კიროვაბადში მივლინებულმა, ხოლო აღნიშნული ქალაქებიდან ქუთაისში ჩამოსულმა ლექტორებმა წაიკითხეს ლექციები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მომძლე რესპუბლიკების, აგრეთვე მეგობარი ქალაქების მშრომელთა მიღწევებზე დიადი იუბილეს წინ.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲣᲐᲖᲑᲔᲒᲨᲘ მოეწყო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები თემაზე: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“, „ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“, „ოქტომბრის რევოლუცია და თანამედროვე ყაზბეგი“ და „ოქტომბრის რევოლუცია და მსოფლიო რევოლუციური პროცესი“.

მოხსენებები წაიკითხეს დოცენტებმა ი. ჩხარტიშვილმა, გ. ჯორჯიკიამ და ა. ესაკიამ.

კონფერენციებზე სიტყვით გამოვიდა პროფესორი ლ. ებანოიძე. (საკ. კორ.).

ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საოქტომბრო კითხვა.

მოხსენებები წაიკითხეს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნებმა ა. ჭითანავამ, მ. დემურიამ, ლ. ნადარეიშვილმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მეუნარგიამ, პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილებების გამგეებმა ვ. ჩაჩიბაიამ და ტ. მოლაშხიამ და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა პ. ჯიშკარიანმა.



ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲗᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲜᲐ

ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორიუმმა და საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა დუშეთში გამართეს თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს.

მოხსენებები „კომუნისტური პარტია ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, „ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნული საკითხის გადაჭრა საბჭოთა კავშირში“, „ოქტომბრის რევოლუცია და მსოფლიო რევოლუციური პროცესი“ წაიკითხეს დოცენტებმა ი. ჩხარტიშვილმა, გ. ჯორჯიკიამ და ა. ესაკიამ.

ᲛᲗᲐᲝ ᲒᲐᲓᲛᲘᲨᲕᲘ, ᲒᲐᲓᲛᲘᲨᲕᲘ!

ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘ ᲚᲝᲓᲔᲑᲫᲕᲔᲨ

ᲕᲐᲫᲐ წერს: „იდგნენ და ელოდნენ!“ თუ გინდათ განიცადოთ დიდი მგოსნის ეს სიტყვები, უნდა ეწვიოთ კავკასიონის სახელგანთქმულ ხეობას, რომელიც მდინარე მარუხს ვაზისტანივით დაუწნავს და დაუგრეხია... მაღლა ციცაბო მწვერვალებს თოვლიანყინულოვანი მძიგები დაუკიდნიათ, შემდეგ ცრემლებად დაუდვნიათ, ნაკადულებად, ჩანჩქერებად, მდინარეებად ჩაუწურავთ ხეობაში.

დგახარ ამ თვალწარმტაც მიწაზე, შეჰყურებ ირგვლივ დაბანაკებულ მთაგორებს, ზოგი მხართეძოზე ზანტად რომ წამოწოლილა და თვლემს, ზოგიც შუბისწვერივით შეჭრილა ღრუბლებში, დგას და ელოდება მზესა და წვიმას, ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილს.

„გაიხედ-გამოიხედავ,
გალმა-გამოლმა მთებია.
მთას ნისლი შემოჰხვევია,
მზეს ცეცხლის წაჰკიდებია...“

მიდიხარ, მიდიხარ, ეიელტეხილთან პატარა, მთის ბალახებითა და ყვავილებით მოხატული ვაკეა (რომ იტყვიან, ხელისგულის ტოლია და არწივებმა რომ არ მოიტაცონ, ირგვლივ ჯავშანჩაცმული მთები სდარაჯობენ). მიდიხარ და მდინარის ნაპირი იწყება... გასცქერი, აგერ ერთი ნახტომი და ხეობის მეორე მხარეს იქნები. თითქოს ხელთაც კი მიხწვდები იმ ხეს, გალმა რომ დგას და შრიალებს... მიდიხარ იმ ხისაკენ, მიდიხარ და თანდათან გშორდება იგი, ხე მაღლა რჩება — შენ კი მარუხი გიხმობს, სადღაც უფსკრულში რომ მიღრიალებს.

ჩადიხარ... ცა გშორდება და მდინარე გიახლოვდება, სულ რომ მიიჩქარის, მიღელავს აქაფებული და გაგულისებული.

მიღელავს მდინარე მარუხი, მიღელავს ბევრი გმირობის მოწმე, ფრთების იმტვრევს ლოდებზე — ხეობაში დღენიადაგ გაუნძრეველად რომ ყრია და ყრია...

ახლა, ამ სტრიქონების წერის დროსაც ალბათ მარუხი რბის და ღრიალებს... მე კი დიდი ხანია ვფიქრობ, როგორ დავიწყო ამ „ამბის თხრობა, რომელიც თითქმის ოცდახუთი წელია მარუხმა იცის და ვერ უთქვამს. ეს ამბავი იმდენად თავისებური და სათუთია, რომ... იქნებ სკობდეს ისევ იქ იმ ხეის ხელისგულისტოლა ვაკეზე — ლოდებქვეშ ხელუხლებლად ესვენოს, სანამ ნისლი ეხეოს და მთის წყაროო ნანას უმღეროდეს.

ის ყველაფრის ღირსია, რასაც შეიძლება კაცმა სასახელო და გმირული უწოდოს.

ამბავი ასე დაიწყო: ამას წინათ რედაქციაში ამანათი მოვიდა. მას მოჰყვა წერილი:

„...როგორც მთამსვლელი ვიყავი მარუხზე. კავკასიონის ამ ისტორიულ მიდამოში ჯერ კიდევ არ გამქრალა ომის საზარელი სურათები. ბევრგან ყრია ყუმბარები, ვაზნები, შაშხანები... ერთგან კაცის თავის ქალას წავაწყდი... იქვე ლოდსა და ლოდს შუა ადამიანის ჩონჩხი ესვენა. ირგვლივ მთის ბალახი და ხეთიოდე ყვავილი ჰყვაოდა. იმ ადგილას, სადაც იმ კაცის გული მიწას შეუჭამია, უკვე გაქვავებული მუყაოს ნაფლეთები ეგდო, იქვე მიწას ჩაკვროდა ერთი ფილი, რომელზეც ამოტვიფრული იყო ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

მუყაო ავიღე — ჩემის აზრით პარტბილეთია იგი ან სხვა რამე დოკუმენტი. მეომარს გულჯიბეში ქიმიური ფანქარი ჰქონია. მისი ნაშთებიც შემორჩენია იმ გაქვავებულ მუყაოს.

ჩემი უყურადღება ჩონჩხთან ალმართულმა არც ისე დიდმა ლოდმა მიიქცია. გადავბარუნე. ქვეშ მრავალი სამკუთხა კონვერტი ეგდო. შევახვიე ისინი და გიგზავნით. ვისია ის ჩონჩხი, ვის მიჰქონდა ეს წერილები მეგრძოლებთან? იქნებ გაზეთმა შეძლოს ახადოს ფარდა ამ საიდუმლოებას.

გიორგი თომაევი, ბაკურიანი“.

წერილები ახლა ჩემს მაგიდაზე აწყვია, ის გაქვავებული მუყაოც და მათი თანამგზავრიც—მთის შავი მიწის ნამცეცებიც ჩემს მაგიდაზეა... ალბათ ამ მიწამ შეიწოვა იმ გმირის ხორცი და სისხლი. მუყაოს ნაფლეთებს სისხლის ლაქები ამჩნევია.

— რა თქვა, რა ამოიკვნესა უკანასკნელად, ვინ მოაგონდა — შვილი, დედა. სატრფო თუ სხვა ვინმე, ეს მხოლოდ შენ იცი, მთაო მაღალო კავკასიონისა! მერე და რამ ჩაგაფიქრა, რა ჯანღი შემოგხვევია პატარა თავზე... ჰეი, შენ ხეობავ მარუხისა, „ძმათა ჩვენთა საძაღლეთო!“ გახსენ შუბლი, გაჭფანტე ნისლი გლოვისა და მოუსმინე. ამ წერილებს, შენს ლოდებქვეშ ოცდახუთი წელი რომ ბუდობდნენ...

ვინ მიიტანა, ვინ დაბუდა ისინი აქ, ამ მთათა სამეფოში?

სახელი იმ კაცური კაცისა იქნებ იმ დაბმულმა ლოდებმა იცოან, იქნებ იმ ნისლმა იცის, თავისი ზღაპრებით დღე და ღამე მთები რომ ჩაუფიქრებია, ან კიდევ იმ დეკამ და ღვიამ იცის, იმ პატარა მიწაზე რომ გაოთხმულან. ფესვებით ლოდები დაუნბიათ და მაღლა-მაღლა მზისკენ მიიწევენ.

ახლა იმ მეომრის გულისფიცრის ნატეხიც ჩემს მაგიდაზე სათუთად ძევს. შენს შავ მიწას თან გამოჰყაკ, მთაო ზვიადო!.. ის მტრედებიც — იმ ქარიშხლიან დღეთა მოსაგონარი სამკუთხა. დედების, მეუღლეების, შვილების, დების, ძმებისა და სხვა ახლო ნათესავ-მეგობრების აკანკალებული ხელით დაკეცილი თეთრი ქაღალდები — უმარკო, ყველა მიმართულებით გზახსნილი უმანკო წერილებიც ჩემს მაგიდაზე აწყვია.

ჩემს მაგიდაზეა გაქვავებული მუყაოს ნაფლეთები. ვინ იცის რა საბუთი იყო ან რა სათუთად ინახავდა მას გმირი მებრძოლი.

მომიტევონ ჩემმა საყვარელმა მეგობრებმა — ამ წერილების ადრესატებმა, რომ ვარდვეე საყოველთაოდ მიღებულ წესს და ვხსნი ყველა კონვერტს... საოცარია, ეს წერილები ოცდახუთი წელიწადი ლოდებქვეშ — ცისა და კლდის ამარა ეყარა, აწვიმდა, ითოვდა, ხანნიადვარი გადაუქროლებდა და მაინც გადარჩა.

ვზივარ მაგიდასთან, შეეყურებ შენს უბეში ნაპოვნ ძვირფას განძს, მთაო კავკასიონისა, **და ასე** მგონია იმ კაცური კაცის გული, კეთილი და ვაჟკაცური გული იწყებს ფეთქვას, მისი შავი თვალები ალერსით მიმზერენ, მაღალი ტანადი, ბეჭგანიერი და შავგვრემანია იგი. აცვია რუხი მაზარა. მარჯვენა ხელში ავტომატი უჭირავს, მარცხენაში — წერილებით სავსე ჩანთა. დგას ამაყად და მიპყურებს დრო და ჟამისაგან სითბო-სიცივისაგან, დარისა და ავდრისაგან გაცრეცილ-გაფერმკრთალებულ წერილების ისტორიას.

— დავალება მივიღე, ფოსტა უნდა მიმეტანა ჩვენს ბიჭებთან ეი აქ ყველაზე საშიშ ხეობაში რომ იბრძოლნენ. ამ ჩანთაში ჩავაწყვე ყველა წერილი. მეჩქარება, ვიცი მოუთმენლად ველიან. როგორ გავაზარებ გულად მებრძოლებს. ასეთ დროს ერთი წერილი ათ

საერთაშორისო ცხოვრება

გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკ ე ს ი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის გუშინდელ დღის სხდომაზე პაკისტანის წარმომადგენელმა ა. შაჰმ რეზოლუციის პროექტის თანაავტორთა (ავღანეთის, გვინეის, ირანის, მალის, პაკისტანის, სომალისა და თურქეთის) სახელით შეიტანა წინადადება, რომ კენჭი ეყარათ მათი პროექტისათვის. მან ხაზი გაუსვა, რომ კრიზისი, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ ისრაელი უარს ამბობს შეასრულოს ასამბლეის წინანდელი გადაწყვეტილება იერუსალიმის შესახებ, მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას.

შაჰმ აღნიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაციამ და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა წინადადება მისცეს რეზოლუციის პროექტის თანაავტორებს შეეცვალათ პროექტის უკანასკნელი პუნქტის რედაქცია, რომელიც შეიცავს თხოვნას უშიშროების საბჭოსადმი უზრუნველყოს ამ რეზოლუციის შესრულება. რამდენადაც პროექტის შეცვლა, თქვა შაჰმ, მოითხოვს ბევრ დელეგაციასთან ახალი კონსულტაციების მთელ სერიას, პროექტის თანაავტორები მზად არიან წარმოადგინონ იგი კენჭის საყრელად უკანასკნელი პუნქტის გამოკლებით.

პაკისტანის დელეგატის წინადადება ერთხმად მიიღო ასამბლეამ.

ბულგარეთის წარმომადგენელმა მ. ტარაბანოვმა გადაჭრით დაუჭირა მხარი პაკისტანის რეზოლუციის პროექტს. მან უარყო, როგორც სრულიად დაუსაბუთებელი, ისრაელის „მოსაზრებანი“ იერუსალიმის ანექსიის გასამართლებლად.

ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ე. გურინოვიჩმა აღნიშნა, რომ ისრაელი აგრესორები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური ძალების მხარდაჭერით აშკარად ცდილობენ შემოიმტკიცონ დაპყრობილი ტერიტორიები. მან ხაზი გაუსვა, რომ ისრაელი ოკუპაციის განგრძობამდა ისრაელის ანექსიონისტურმა გეგმებმა შეიძლება წარმოშვას ახალი შეიარაღებული კონფლიქტი. ამიტომ ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივი და უპირობო გაყვანა დაპყრობილი ტერიტორიებიდან. ასეთი გადაწყვეტილება ბოლოს მოუღებდა იერუსალიმის ანექსიასაც.

შემდეგ კენჭისყრის მოტივებით გამოვიდნენ კანადის, ბელგიისა და ნეპალის დელეგატები და განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ პაკისტანის პროექტს მისი სახელოო სახით (ესე იგი, უიმპუნქტოდ, რომელიც შეიცავს უშუალო მიმართვას უშიშროების საბჭოსადმი).

შემდეგ რეზოლუციის პროექტს კენჭი უყარეს. რეზოლუცია, რომელიც პაკისტანმა და სხვა ექვსმა დელეგაციამ შეიტანეს, მიღებულ იქნა 99 ხმით. 18 დელეგაციამ თავი შეიკავა, ისრაელს არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში. არც ერთ დელეგაციას არ მიუცია ხმა წინააღმდეგ.

ისრაელთან და შეერთებულ შტატებთან ერთად, რომლებიც მუდამ მხარს უჭერენ ისრაელს, პაკისტანის რეზოლუციისათვის არ მიუციათ ხმა სამხრეთ აფრიკას, პორტუგალიას, ავსტრალიას, ბოლივიას, კოლუმბიას, ურუგვაისა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას. შეერთებულმა შტატებმა აშკარადაც არ მისცეს ხმა რეზოლუციას, რომელაც მხარს უჭერს დელეგატთა დიდი უმრავლესობა. ამით მათ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყვეს, რომ ისრაელის აგრესიის სულისჩამდგმელნი და ფაქტიური დამცველები არიან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის შემდგომი სხდომა დანიშნულია 17 ივლისს.

მიეძღვნა ოქტომგერს

რომი, 15 ივლისი. (საკდესი). „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ — ასე ეწოდა ოთხი დღის სემინარს, რომელიც გაიმართა ფრატოკიეს (რომის მახლობლად) კომუნისტის პრობლემების ინსტიტუტში, იუწყება გაზეთი „უნიტა“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ იტალიის კომუნისტური პარტიისა და იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის საოლქო და პროვინციულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. სემინარზე მოხსენებები გააკეთეს იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრებმა ემილიო სერენიმ და აკილე ოკეტომ, ჟურნალისტმა ჯუზეპე ბოფამ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა ვ. ი. სტეპაკოვმა და ა. ხ. ჩერნიაევმა.

იფრძლება ფასები

პარიზი, 15 ივლისი. (საკდესი). დღეიდან პარიზის საქალაქო ტრანსპორტის სამგზავრო ბილეთები 60 პროცენტით გაძვირდება. ამასთანავე მთელ საფრანგეთში ძვირდება გაზი (1,85 პროცენტით) და ელექტროენერგია (4,8 პროცენტით).

განმარტავს რა ხელისუფალთა ამ გადაწყვეტილებას, გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს უწინარეს ყოვლისა შელახავს მშრომელთა ინტერესებს.

ძველი პატარა ქალაქი ოდერის შვედური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. ახლა ფართოდ არის ცნობილი ეს ქალაქი, სადაც ნავთობსადენ „მეგობრობით“ მიედინება საბჭოთა ნავთობი, სადაც შენდება დიდი კომბინატი — რესპუბლიკის პირველი ნავთობქიმიური საწარმო. სახე იცვალა შვედტმა — იგი ახალ, ბედნიერ ცხოვრებას აშენებს. მის ქუჩებში დაბიჯებს თვით სიკაშკაშე: მცხოვრებთა საშუალო ასაკიც ხომ 28 წელს არ აღემატება. სურათზე თქვენ ხედავთ შვედტის „მკვიდრ“ მოსახლეობას, რომელიც ახალ ფართო და ნათელ ბინებში ცხოვრობს.

ფოტო ადნ-საკდესისა.

სახელმწიფო დოტაციები იარაღის ფაბრიკანტებს

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის გუშინდელ სხდომაზე სახელმწიფო მდივანმა რასკმა სენატორთა მრავალი შეკითხვის პასუხად გაიმეორა მთავრობის ძველი მოსაზრება, რომ საჭიროა სამხედრო და ეკონომიური „დახმარება“ გაეწიოს უცხო სახელმწიფოებს. კომისიის თავმჯდომარემ, სენატორმა ფულბრაიტმა დაიმოწმა პრესის ცნობები და აღნიშნა რასკის საყურადღებოდ, რომ მიმდინარე საფინანსო წელს ფედერალურ ბიუჯეტს ემუქრება 20 მილიარდი დოლარი დეფიციტი იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო იზრდება ვიეტნამის ომის ხარჯები. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამ პირობებში ესოდენ დიდი დახმარება გავუწიოთ სხვა ქვეყნებს? — ჰკითხა ფულბრაიტმა. „შეგვიძლია და კიდევაც უნდა გავუწიოთ, რამდენადაც ეკონომიური და სამხედრო დახმარების გზით, — ამტკიცებდა რასკი, — ჩვენ ვაშენებთ და ვიცავთ მშვიდობას“. ამის გამო ფულბრაიტმა სარკასტულად შენიშნა, რომ მშვიდობის რაიმე მშენებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება იმ მომენტში, როცა ვიეტნამის მზარდი ომი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს.

სენატის კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ვიეტნამის ომი მთავრობის ყურადღებას აშორებს ძნელ საშინაო ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებს, რის შედეგად სახელმწიფოში „უდიდესი უკმაყოფილებაა“.

სენატორმა მორზემ კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ხალხი „ეკონომიურად გაჭირვებულია“. მან აღნიშნა, რომ შარშან რეგისტრირებული იყო მეტი გაკოტრება, ვიდრე 30-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში. მორზემ გააკრიტიკა სამხედრო „დახმარება“ და განაცხადა, რომ იგი ფაქტიურად „დოტაციაა“ ამერიკელი იარაღის ფაბრიკანტებისათვის. სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივი ჩარევის პოლიტიკა წარმოშობს კრიზისებს.

უტეჟენ ამერიკელთა დანანგის გაზგა

ლონდონი, 15 ივლისი. (საკდესი). განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა დღეს რაკეტები დაუშინეს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დანანგის ბაზას.

რეიტერის სააგენტოს დანანგელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ სროლის შედეგად დაინგრა ყაზარმები და მოისპო და დაზიანდა 20-ზე მეტი თვითმფრინავი. ცნობაში აღნიშნულია, რომ 140 მილიმეტრი კალიბრის რაკეტები მიზანს ზუსტად ხვდებოდა. უკანასკნელი რაკეტის გაშვების შემდეგ ბაზაში გაჩნდა ხანძარი, ღამის ცა განათდა და გახდა ღია წითელი ფერისა. იწვოდა და ფეთქდებოდა საომარი მასალის, საწვავის საწყობები და თვითმფრინავები. აფეთქებათა ჯაჭვური რეაქცია მოედო მთელ ასფალტენ მოედანს. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების უდიდესი ბაზა სრულიად გამოყვანილია მწყობრიდან.

მიეძღვნა ოქტომგერს

რომი, 15 ივლისი. (საკდესი). „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ — ასე ეწოდა ოთხი დღის სემინარს, რომელიც გაიმართა ფრატოკიეს (რომის მახლობლად) კომუნისტის პრობლემების ინსტიტუტში, იუწყება გაზეთი „უნიტა“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ იტალიის კომუნისტური პარტიისა და იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის საოლქო და პროვინციულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. სემინარზე მოხსენებები გააკეთეს იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრებმა ემილიო სერენიმ და აკილე ოკეტომ, ჟურნალისტმა ჯუზეპე ბოფამ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა ვ. ი. სტეპაკოვმა და ა. ხ. ჩერნიაევმა.

განსხვავებაა... ულვაშები

ყბადაღებული ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მიტინგზე, ამ ცოტა ხნის წინათ რომ გაიმართა პასაჟში, გამოვიდა ამ პარტიის ფიურერი ადოლფ ფონ ტადენი.

როგორც გაზეთი „ნოიე �იტი“ (გდრ) იუწყება, იგი იცავდა „გერმანული ნაციონალიზმის (ესე იგი ფაშიზმის) გონივრულ იდეას“, მოითხოვდა „გერმანელთა დასახლების ერთიანი რაიონის აღდგენას“ (ესე იგი გერმანიის აღდგენას მესამე რაიხის „საზღვრებში) და, ბოლოს, ბრძოლას „არიული რასის სიწმინდისათვის“. ერთი სიტყვით, მიტინგზე, რომელზეც ძირითადად ნეონაციისტური პარტიის მომხრენი შეიკრიბნენ, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ახალმოვლენილ ფიურერს სურდა, მანამდე, სანამ შეკითხვები დაიწყებოდა.

ერთ-ერთმა დამსწრემ პირდაპირ კკითხა ორატორს:

— კაცნა რომ თქვას, ბატონო ადენ, რატომ არ აბარებთ ისეთსავე ულვაშებს, ადოლფ ჰიტლერს რომ ჰქონდა?

ნეგერიის მთავრობის გრძანებულება

ლაგოსი, 15 ივლისი. (საკდესი). ფედერალურმა სამხედრო მთავრობამ გამოაქვეყნა „ბრძანებულება ნავთობისადმი კონტროლის შესახებ“. ეს ბრძანებულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში. იგი საშუალებას აძლევს ფედერალურ სამხედრო მთავრობას კონტროლი გაუწიოს მთელი ნავთობპროდუქტების შენახვას, გადაზიდვასა და განაწილებას.

გვალვა კანადაში

ოტავა, 15 ივლისი, (საკდესი). **გვალვამ დააზიანა კანადის მარცვლის ხარაონები, დალუპვა ემუქრება ხორბლის მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს. ყველაზე ძლიერ დაზარალდა სასკაჩევანის პროვინცია, რომლის წილად მოდის კანადის ხორბლის მთელი წარმოების თითქმის ორი მესამედი. ნაწილობრივი გვალვა მოედო მანიტობისა და ალბერტის პროვინციებსაც.**

შეხვედრა პრაღაში

პრაღა, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც დღეს გაზეთი „რუდე პრავო“ იუწყება, ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დავიდ ხენინი, რომელიც პრაღაში ხანმოკლე ვიზიტად იმყოფება, 13 იულის შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვ. კოუცკის.

„რუდე პრავო“ წერს, რომ ისრაელის კომპარტია მძიმე პირობებში პრინციპული პოზიციიდან უდგება ისრაელის აგრესიას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ და ამ აგრესიას მიიჩნევს ზტრუ. აქტად არა მარტო არაბული ქვეყნების, არამედ ისრაელი ხალხის ძირეულ ინტერესების მიმართ. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ისრაელია კომპარტიის წარმომადგენელთან გულთადი საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება პოზიციების შესახებ, რომლებიც ორ პარტიას უკავია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კითარების გამო და მსოფლიოს ამ რაიონში და მთელ მსოფლიოში პროგრესული განვითარების ინტერესებისათვის ამ ვითარების მოწესრიგების შესაძლებლობათა შესახებ აღნიშნავს „რუდე პრავო“.

ნიგერიის მთავრობის გრძანებულება

ლაგოსი, 15 ივლისი. (საკდესი). ფედერალურმა სამხედრო მთავრობამ გამოაქვეყნა „ბრძანებულება ნავთობისადმი კონტროლის შესახებ“. ეს ბრძანებულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში. იგი საშუალებას აძლევს ფედერალურ სამხედრო მთავრობას კონტროლი გაუწიოს მთელი ნავთობპროდუქტების შენახვას, გადაზიდვასა და განაწილებას.

გვალვა კანადაში

ოტავა, 15 ივლისი, (საკდესი). **გვალვამ დააზიანა კანადის მარცვლის რაიონები, დალუპვა ემუქრება ხორბლის მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს. ყველაზე ძლიერ დაზარალდა სასკაჩევანის პროვინცია, რომლის წილად მოდის კანადის ხორბლის მთელი წარმოების თითქმის ორი მესამედი. ნაწილობრივი გვალვა მოედო მანიტობისა და ალბერტის პროვინციებსაც.**

... ეგვიპტეს ... ...

კაცმა ცე დარგო

ქალიშვილო, თქვენ თუ მოგვიდოდით, ნიტავ მაშინ მოსულიყავით, როცა აკაციები ჰყვაოდნენ...

ისე გულდაწყვეტით მითხრა ილია სვანიძემ, როდესაც საკუთარი ხელით, უსასყიდლოდ გაშენებული ტყის დასათვალიერებლად ვისტუმრე, რომ მეც ნამდვილად გული დამწყდა, მეა ღამაზ ყვავილობაა რომ ვერ მიეხსწარი...

კიდევ კარგი, აკაციები ბამბუკივით სიცოცხლეში ერთხელ და ისიც სიკვდილის წინ... არა ჰყვავიან!

— მოგალ, გაზაფხულზე აუცილებლად მოგალ, ენახავ თქვენი გახარებული, გაზრდილი აკაციების ყვავილობას-მეთქი, — აღვუთქვი პატივცემულ ილიას...

• • •

ახალგამოღვიძებული კაკლის ხეები იშმუშნებიან...

აკაციები ნამძინარევ თვალებს იფშვნეტენ...

ხიდან ხეზე შეფართხალებული ჩიტუნები „დილა მშვიდობისას“ გალობენ...

ტანკენარა ვერხვები კი მთიდან მოძალებული ნიავის ხვევნა-ალერსს თავს ვეღარ აღწევენ და იდუმალ ხმაზე შრიალებენ. ეს დალოცვილი მიწაც ისე მხურვალედ იკრავს მკერდში მათს ისედაც ღრმად გადგმულ ფესვებს, რომ ენანებათ კიდეც მისგან წასვლა... ანდა გულისთქმას რომ აჰყენენ, რა პასუხიღა გასცენ თავიანთ მომავე ია ილიას?... ასე ეძახიან ილია სვანიძეს (სპეციალობით მეტყველე-ინჟინერს, ამჟამად პენსიონერს), რომელმაც ისინი აქ, დედაქალაქში, სევასტოპოლის მეორე ჩიხისა და ვარაზიისხევის ქუჩის შუა მდებარე ხრიოკ, ჩაბრამულ ფერდობზე საიდან ეარ ამოიყვანა... ერთ კვადრატულ ფართობზე რვაას ძირამდე ხის ნერგი საკუთარი ხელით დარგო და ახარა...

კაცმა თუ მოიწადინა, რას არ გააკეთებს!

მაინც რა საოცარი არიან ბუნების, სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანები!.. ცივ ქვაზე რომ დაასახლო, იქაც შეძლებენ მის აყვავებას, წალკოტად, ბაღნარად, ტყედ გადაქცევას...

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რომ სტუმრებოდით ილია სვანიძეს, ვერაფრით ვერ გაგაკვირვებდათ.. მშვენიერი ტყის ნაკვალად, დღეს ასე რომ ახარებს მნახველის თვალსა და გულს, შნოსა და სილამაზეს მატებს ჩვენს ტურფა დედაქალაქს, მხოლოდ ქვათა და ღორღთა სამფლობელო, ქართა და ნიაღვართა სანავარდო იყო... ბალახი რა არის, ერთი ღერი ბალახიც კი არ იყო სიცოცხლის ნიშანწყლად... დიდი წვიმების დროს მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი წალკვეთ ემუქრებოდა ისედაც საკმაოდ ჩახრამულ ქუჩას, სახლებს... ქარიც თავისუფლად დათარეშობდ...

მაგრამ მოვიდა კეთილი, შრომისმოყვარე ადამიანი... მოვიდა და ქარსაც ქამანდი ესროლა, ნიაღვარსაც არტახები გადაუჭირა.

იყო შარკინება ხრიოკი ფერდობისა და კაცისა... ფერდობი იყო მაგარი, მაგრამ კაცი — მასზე მტკიცე და ძლიერი...

— დამნებდი, გესმის, დამნებდ!... ნებით თუ არა, ძალით დაგიმორჩილებ, აუცილებლად დაგიმორჩილებ!... ებრძოდა კაცი გაჯიუტებულ ფერდობს..

— არ დაგნებდები, დამეხსენ, რას შემომიჩნდი, რა გინდა ჩემგან!.. ვერ მომერევი, მე შენზე ძლიერი ვარ... საუკუნეები ვდგავარ ასე, ადამიანის ხელი ჯერ არ შემხებია და შენ როგორ მიბედავ!.. — იმუქრებოდა ადამიანის თავხედობით განრისხებული, თანაც გაწითლებული ფერდობი... დაორღობული ქვები ბორორტი ხორხოცით ილიას ფეხებთან ეცემოდნენ... უჭირდა ფერდობზე ბაწრით მიმბმულ ილია სვანიძეს ნიადაგის დამუშავება, ნერგების დასარგავად ორმოების მომზადება... უჭირდა, მაგრამ რა ფასი ჰქონდა მის დაწყებულ მუშაობას, თუ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა... მას მხარში ამოუდგნენ მეზობლები — სტეფანე ზაგინაიერ, მარიამ დოლგოვა, მარიამ კობზევა და შეერთებული ძალით მოათვინიერეს გაჯიუტებული ფერდობი.

ქვის ბულს ადამიანის გული შეეჭიდა და მისმა სითბომ გააღსო კიდეც...

აქა-იქ გაჩნდნენ პატარ-პატარა აკაციები, ვერხვები, კაკლის ხეების ნერგები... შემდეგ გამრავლდნენ, გაიზარდნენ, ტანი აიყარეს, მხრებში გაიშალნენ, ცამდე აიზიდნენ, დასრულდნენ, დამშვენდნენ...

მალე მათ გვერდში ამოუდგნენ ტყემლის, ქლიავის, ატმის, ჭერმის ნერგები... ვაზის ნერგებმა კი ბულ ალბალან ტყის პირას ჩამწკრივებული ვერხვების ჩრდილში მოიკალათეს...

ძია ილია თვითეულ ნერგს ჩვილი ბავშვივით უვლის, ზრუნავ-პატრონობას არ აკლებს, შვილივით ზრდის. აკი მითხრა კიდეც — თვითეული ხის გაზრდა ისე მახარებს, თითქოს საკუთარი შვილი მეზრდებოდესო...

ახლაც, რა დროსაც უნდა ეწვიოთ, ხელბოთან მოფუსფუსეს ნახავთ.. ტყის გაზრდასა და ახალ-ახალი ჯიშებით მის გამდიდრებაზე ფიქრობს...

• • •

— ...და ეს ყველაფერი თქვენი ხელით გააკეთეთ? — ტყის მშვენიერებით მოხიბლულმა განცვიფრება ვეღარ დავფარე...

ძია ილიამ კეთილი ღიმილით გაღაღედა სასიამოვნოდ მოშრიალე ტყეს, შემდეგ ჩემსკენ შემოტრიალდა და მითხრა:

— დიახ, ჩემი ხელით, მეზობლების დახმარებით... მერე რა არის აქ გასაკვირველი, ქალიშვილო?.. განა ყოველი ადამიანის წმიდა ვალი არ არის ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის გააკეთოს ყველაფერი, რის გაკეთებაც შეუძლია!..

ძია ილიას სახეში ვუყურებდი... უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმაზე ბავშვივით გაწითლდა... თავმდაბალი, მოკრძალებული კაცი ჩანს... ალბათ იფიქრა, თავის ქება ხომ არ გამომცდიდაო, და თავი დახარა...

— უკვე ავიღე ჩემი მუშაობის საფასური, — მოუღოდნელად წამოიძახა ძია ილიამ — ჩემმა დარგულმა ნერგებმა იხარეს... მეც გამახარეს, ჩემი მეზობლებიც... იმედი მაქვს ყველა მხახვეულ გაახარებენ.. ჯერ მარტო ამ ტანწერწეტა ვერხვის ცქერა რად ღირს!..

ისეთი სიყვარულით ახედა თავზე წამომდგარ ცამდე აშოლტილ თხუთმეტი წლის ვერხვს, რომ უნებურად მოწიწება ვიგრძენი მისდამი...

— კიდევ უფრო დიდ ჯილდოს ველი!... — თქვა მან და თვალებში უცნაური სხივი ჩაუდგა...

ნეტავ კიდევ რას ელის ეს კაცი?.. პირდაპირი კი ჩანს, მაგრამ მანეც გამოცანების წინაშე მაყენებს-მეთქი, გავიფიქრე.

გუმანით თუ მიმიხვდა ნაფიქრალს, ცივად გადმოხედა და წყნარად წამოიწყო:

— თუ თბილისელები ჯერ კიდევ ეჭვმაოდ შემორჩენილ ხრიოკ, უკაცრო ადგილებს „წალკოტებად“, „ბოშრობლე ტყეებად“, „ყვავილნარებად“ აქცევენ, მე მეტი რაღა მინდა... ეს იქნება ჩემი შრომის ყველაზე დიდი ჯილდოც!..

ბოლო სიტყვები ისე გულწრფელად გაისმა, რომ არაფერი ადარ მითქვამს... ან მადლობის მეტი რა მეთქმოდა...

ის იყო ილიას დავემშვიდობე და წამოსვლა დავაპირე, რომ ვერხვებმა შემაჩერეს, თავიანთი გულისტკივილი გამანდეს... თურმე ნე ატყვით, ზოგიერთი უსულგულო ადამიანი ტყეს ანადგურებს, მიწის მკერდს მინდობილ ჩვილ ნერგებს ძირიანად თხრის. ახლაღა მივხვდი ძია ილიას გადაკრული სიტყვების ბნიშვნელობას — წეროლის გაზეთში გამოქვეყნება ტყესაც სარგებლობას მოუტანსო... ტყის დაცვა და დანარჩენი გამოუყენებელი ადგილის გატყვევება კი, რაც ილია სვანიძეს გიგმაში აქვს, დღეისათვის აუცილებლობასაც წარმოადგენს, რადგან მიმდინარეობს ვარაზისხევის ქუჩის რეკონსტრუქცია, რაც მრავალსართულიანი სახლების მშენებლობას ითვალისწინებს. სულ მალე ახალი ლამაზად ნაგები შენობების სართულები ძია ილიას „ტყეს“ სიმაღლეში შეეჯიბრებიან... და იქნებ გაუსწრონ კიდეც...

ლაურა ძიძამიძე.

• • •

სურათებზე: ილია სვანიძე; მარცხნივ — ტყის მშვენება — თხუთმეტი წლის ვერხვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ლ. ლ. ბერეჟაკი

გარდა ი[illegible] ვალი [illegible] სონალური [illegible] პენსიონერი, [illegible] 1914 [illegible] დაბადა 1887 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხეისში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩაება შრომაში. 1902 წლიდან კერძო მოხელესთან მუშაობდა ფოთში და სენაკში. 1909 წელს გაიწვიეს მეფის არმიაში.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს ჭიათურაში და უკავშირდება არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკებს, ასრულებს მათს დავალებებს. 1913 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო ჭიათურის მუშათა გაფიცვებში.

პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა ავსტრიის ფრონტზე. 1918 წელს ბრუნდება ჭიათურაში და იბრძვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. როგორც გამოცდილ სამხედრო პირს, მას ავალებენ ბოლშევიკური რაზმის შედგენას, რისთვისაც გაინიცდის რეპრესიებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქ. ბათუმში სამომბმარებლო კოოპერაციის სისტემაში. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

ამხანაგების ჯგუფი.

ეს დღეები სპარტაკიადაზე

დღე დღეს მისდევს, სპარტაკიადის ტემპი კი განუყრელად მატულობს. დღეს სტარტი აქვთ ჩოგაურთელეებს.

სპეციალისტებს და სპორტულ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ გუნდურ ასპარეზობაში უნდა გაიმარჯვოს მოსკოვის ძლიერმა კოლექტივმა. მაგრამ სხვეებიც, მათ შორის საქართველოს გუნდიც, რომელსაც სათავეში უდგას სპოორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი, როდია გამოოიცხლული, რომ გამარჯვებათა კვარცხლბეკის საფეხურზე აღმოჩნდეს. ასეა თუ ისე, ყველაფერს მომავალი ბრძოლები დაგვაასხვებს.

მეტად პასუხსაგები ასპაოეზობა ექნებათ ვოლომრბოლებს ყირიმის მიდამოებში.

ველორბოლის მეოთხე ეტაპის 165-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშთან პირველი მივიდა მოსკოვის გუნდის წარმომადგენელი ვ. ჩერკასოვი — 4 საათი, 30 წუთი და 50 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ბელკოვიჩი (ლენინგრადი), ხოლო მესამე-მეოთხე ადგილები თანაბარი შედეგებით — 4 საათი, 31 წუთი და 5 წამი, დაიკავეს გ. საიდხუფინმა (რსფსრ) და ი. კალასეკიმ (ესტონეთი). ამ ეტაპზე პირველი სამი ადგილი თანმიმდევრულად ასე განაწილდა: მოსკოვი, უზბეკეთი, რსფსრ.

ეს დღეები ვ. ი. ლენინის ცენტრალური სტადიონის საცურავ აუზში დათმობილი აქვთ ჭაბუკ წყალბურთელებს.

გუშინდელი შეხვედრებიდან უურადღების ცენტრში იდგა უკრაინისა და ლენინგრადის წყალბურთელთა ასპარეზობა. წარმატება ლენინგრადელებს ხვდათ ანგარიშით 3:2. ყირგიზეთის გუნდმა დაამარცხა სომხეთის წყალბურთელები — 9:0. საქართველოს გუნდი, რომელმაც პირველ მატჩში მოუგო შეხვედრა ბელორუსიის ძლიერ კოლექტივს (7:3), გუშინ თამაშობდა ტაჯიკეთის გუნდთან და მძიმე ბრძოლის შემდეგ აჭტივში კიდევ ორი ქულა ჩაიწერა. მოიგო შეხვედრა ანგარიშით 2:1. მათ უკვე ფაქტიურად უზრუნველყოფილი აქვთ ფინალში მონაწილეობა.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით კალათბურთელთა სტარტის შედეგებზე. გუშინ გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები. მოსკოვის ქალთა გუნდს დიდი ჯაფა არ დაადგა აზერბაიჯანელ კალათბურთელებთან მატჩში და ადვილად დაამარცხეს მეტოქე — 74:33. ლიტვის ვაუთა გუნდს პაექრობა ჰქონდა თურქმენეთის გუნდთან, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ. ანგარიში 44:57 (26:28). ყირგიზებმა დაამარცხეს ტაჯიკეთის გუნდი — 52:47 (28:18).

სპარტაკიადის პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მძლეოსნობას და ცურვას. სწორედ სპორტის ამ სახეობებში გთამაშდება ყველაზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. მართალია, მძლეოსნობაში შეჯიბრება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ამ ეტაპზე დიდი მზადებაა მომავალი შეხვედრისათვის. აი ერთი მნიშვნელოვანი ცნობა რიგიდან. აქ მოეწყო სამატჩო შეხვედრები საქართველოს, ლატვიისა და უზბეკეთის ნაკრებ გუნდებს შორის. სპრინტერთა ასპარეზობაში უძლიერესები იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები. პირველი ადგილი დაიკავა ა. კოსტინმა. მან 100 მეტრი 10,4 წამში გაირბინა. მეორე და მესამე ადგილებიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს რ. მამალაძეს და ე. ლომთაძეს ხვდათ. თარჯრბენში 80 მეტრზე ქალთა შორის გამარჯვება ხვდა ტ. როემანოვას — დრო 11,1 წამი.

ფრენბურთელებმა უკვე განვლეს წინასწარი ტურნირის ნახევარზე მეტი. მათ ჩასატარებელი დარჩათ ორი თამაში. სწორედ ამ შეხვედრებმა უნდა გამოავლინოს უძლიერესნი. რომლებიც დასკვნით ეტაპზე გითამაშებენ პირველ ექვს ადგილს.

ქალთა გუნდებს შორის პირველ ქვეჯგუფიდან ფინალში გასვლის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს ბელორუსიის გუნდს, რომელმაც სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო. მეორე ქვეჯგუფში დაწინაურდა უაზახეთის ფრენბურთელთა კოლექტივი. მათაც სამი შეხვედრიდან სამივე მოიგეს. მესამე ქვეჯგუფში ამდენივე გამარჯვება აქვთ აზერბაიჯანის ფრენბურთელ ლ თ ა კოლექტივს. ამ ქვეჯგუფში გამოდის აგრეთვე საქართველოს გუნდი, რომელსაც ორი ქულა აქვს.

ვაუთა გუნდებს შორის მდგომარეობა ასეთია: პირველ ქვეჯგუფში წარმატებით იბრძვის მოსკოვის ძლიერი კოლექტივი, რომელმაც სამი მატჩი მოიგო ზედიზედ და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. მეორე ქვეჯგუფში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოდიან, დაწინაურდა უაზახეთის გუნდი. მასაც სამი მოგებით პირველი ადგილი უკავია და ფინალის რეალურ კანდიდატად ითვლება. ამ ქვეჯგუფში ორ-ორი გამარჯვება აქვთ საქართველოს, ესტონეთისა და აზერბაიჯანის გუნდებს. მათ შორის თუ ვინ გავა ფინალში, ამას უკანასკნელი ორი ტურის მატჩების შემდეგ შეიტყობთ. მესამე ქვეჯგუფში ლიდერები არიან უკრაინისა და ლატვიის გუნდები, რომელთაც ორ-ორი ქულა აქვთ.

ვ. გაბელია,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ქალთაგურთელთა შეხვედრები

მოსკოვი. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ასპარეზობაში ჩაებნენ კალათბურთელები. პირველი ტურის შედეგები ასეთია:

ქალები: ყირგიზეთი-ესტონეთი — 36:45, უზბეკეთი-მოლდავეთი — 61:31, აზერბაიჯანი-სომხეთი — 45:41, უკრაინა-ლიტვა — 30:35.

ვაჟები. ლიტვა-ბელორუსია — 70:60, ლატვია-თურქმენეთი — 94:35, ტაჯიკეთი-უაზახეთი — 49:84, ლენინგრადი-სომხეთი — 71:40, რსფსრ-ყირგიზეთი — 82:54, ესტონეთი-უზბეკეთი — 64:58.

გუშინ...

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. საქართველო ლ ო ს ქალთა გუნდმა სძლია მოლდავეთის გუნდს — 57:46 (25:24), ვაჟებმა კი უზბეკეთის კოლექტივს — 71:52 (28:22). უკრაინის ვაჟთა გუნდმა მოუგო ლენინგრადის კოლ ე ქ ტ ი ვ ს 47:43.

ერსჭავლეთა სპორტიადა

ლენინგრადი, (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). იგრძნობა მოსწავლეთა მეათე სპარტაკიადის ფინიშის მოახლოება, ლენინგრადის სასპორტო მოედანზე შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობებში უფრო მწვავე და დაძაბული ხდება.

დამთავრდა გუნდური პირველობა ჩოგურთში. საქართველოს ნაკრებს არც ბოლო შეხვედრაში ჰქონია წარმატება. ამჯერად მათ დიდი მარცხი განიცადეს მოსკოვის გუნდთან შეხვედრაში — 0:9. ექვსეულის საბოლოო ადგილები სპორტის ამ სახეობაში ასე განაწილდა: პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის ჩოგბურთელთა გუნდი. მომდევნო ადგილზეა არიან ბაკრაინის, ესტონეთის, რსფსრ-ის, უაზახეთისა და საქართველოს გუნდები.

ჩვენმა მოჭადრაკეებმა ყაიმით დამთავრეს გადადებული პარტია უზბეკეთის გუნდთან. ამ შეხვედრის საბოლოო შედეგია 4,5:3,5 ჩვენი მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ასევე წარმატებით დაამთავრეს მათ ქვეჯგუფის ბოლო ტურისწინა შეხვედრა ყირგიზეთის გუნდთან — 6,5:1,5. ამ სახეობაში შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა. კვლავ წინ არის რსფსრ-ის გუნდი — 25 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი 21,5 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება.

ასპარეზობაში ჩაებნენ მოფარიკაკეები. შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა ხმლით მოფარიკაკეთა პირადი პირველობა. ხუთეულთა პაექრობაში ჩვენი გუნდის წარმომადგენელი ი. აივაზოვი მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

შეჯიბრება დაიწყეს მცურავებმაც. პირველი დღე აღინიშნა ორი საკავშირო რეკორდის დამყარებით, რომლებიც ჭაბუკთა და გოგონათა 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში იქნა ნაჩვენები. ორივე რეკორდი ეკუთვნით რსფსრ-ის გუნდის წარმომადგენლებს. გოგონების სარეკორდო დროა 4.53,7, ჭაბუკებისა — 4.18,1. საქართველოს წარმომადგენელმა ლ. ოსიპოვამ ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მისი შედეგია 1.08,5. მიუხედავად ამისა, მან ფინალურ ჯგუფში გასვლა მაინც ვერ მოახერხა.

ჩვენმა მაგიდის ჩოგბურთელებმა, რომლებიც მე-7-მე-12 ადგილებისათვის იბრძვიან, გაიმარჯვეს ტაჯიკეთის გუნდთან — 5:2. ხოლო დამარცხდნენ ლატვიასთან —3:5. ფინალურ ექვსეულში მებრძოლმა ჩვენმა ჭაბუკებმა წააგეს შეხვედრა უკრაინის გუნდთან ანგარიშით 0:5.

გ. ირინაული.

ისინი ხუთნი იყვნენ...

მონრეალი, 15 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის რაპირისტ ქალთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატში. ისე როგორც შარშან, როცა მათ მეშვიდეჯერ მოიპოვეს ოქროს მედლები, საბჭოთა სპორტსმენები ფინალში შეხვდნენ უნგრეთის ნაკრებ გუნდს. შეხვედრა იყო ტრადიციულად მწვავე და ერთობ დრამატულად მიმდინარეობდა. როცა ანგარიში იყო 8:7 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ, ნორჩმა ილდიკო ბობიშმა დაამარცხა მსოფლიო ექს-ჩემპიონი ტატიანა სამუსენკო. შევნიშნავთ, რომ როცა მათი ორთაბრძოლის ძირითადი დრო დამთავრდა, ანგარიში იყო 3:3. ბრძოლა გაგრძელდა გადამწყვეტ ჩხვლეტამდე და ეს ჩხვლეტა ბობიშმა მიაყენა მოწინააღმდეგეს.

ამის შემდეგ შეხვედრის საერთო შედეგი გათანაბრდა — 8:8, და როცა როგორც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, შეაჯამეს მიღებული ჩხვლეტები, აღმოჩნდა შეფარდება 46:47(!) და საბჭოთა რაპირისტმა ქალებმა გულთბილად მიულოცეს თავიანთ მეგობრებს, რ ო მ ლ ე ბ მ ა ც ბრწყინვალედ წარმართეს მთელი ტურნირი. ადვილი როდი იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის, რომელშიც ხუთი მსოფლიო ჩემპიონი გამოდიოდა გასწრება. თვითონვე განსაჯეთ: ალექსანდრა ზაბელინა — 1957 და 1967 წლების ჩემპიონი, ტატიანა სამუსენკო (1966 წლის ჩემპიონი) გალინა გოროხოვა (1965 წლის ჩემპიონი), ვალენტინა რასტვოროვა (1958 წელი) და მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდათა შორის ნადეჟდა კონდრატიევა.

თბილისი დიდ ფეხბურთს მასპინძლობს

დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის ეროვნული ნაკრები გუნდები დღემდე ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ. მაშინ მათ მსოფლიოს მერვე ჩემპიონატში თამაში ერთ შესარჩევ ქვეჯგუფში მოუხდათ. ამ გუნდების პირველი ნაცნობობა 1965 წლის 23 მაისს მოხდა მოსკოვში. მატჩი დამთავრდა ჩვენი ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 3:1. მეორე შეხვედრა გაიმართა საბერძნეთის ქალაქ პირეიში იმავე წლის 3 ოქტომბერს. საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობაზე მეტყველებს შედეგი — 4:1. ამ მატჩების თბილისის „დინამოდან“ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდნენ მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა.



დევისის თასზე

ბარსელონაში მიმდინარეობს ესპანეთისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა მატჩი დევისის თასზე. პირველ დღეს უიმბლდონის ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა ესპანელმა მ. სანტანამ დაამარცხა სსრ კავშირის ექსჩემპიონი თ. ლეიუსი 3:0 (6:3, 6:4, 6:1). სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი დამარცხდა ხ. გიზბერტთან 2:3 (6:3, 6:2, 6:3, 5:7, 2:6). გუშინ გაიმართა წყვილთა შეხვედრა, რომელშიც გაიმარჯვეს მეტრეველმა და ლიხაჩოვმა. ამრიგად, ანგარიში გახდა 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

სსკა—„ჩერნომორეცი“

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. დედაქალაქის არმიელებმა დაამარცხეს ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელები ანგარიშით 2:1.

„ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

გაიმართა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი მატჩები. გურჯაანის „ალაზნისა“ და ნოვოროსიისკის „ცემენტის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. ფრედ — 1:1 ითამაშეს რუსთავის „მეტალურგმა“ და სოხუმის „დინამომ“. ფოთში ლანჩხუთის „გურიამ“ დაამარცხა ადგილობრივი „კოლხეთი“ ანგარიშით 2:1. ქობულეთის „შუქურასა“ და ზუგდიდის „ენგურის“ შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0. კისლოვოდსკის „სპარტაკმა“ მოუგო ჭიათურის მაღაროელს — 3:0. მიეოკში გორის „დილამ“ დაამარცხა ადგილობრივი „ურიუაი“ ანგარიშით 2:1.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 16 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	15	8	6	1	25:7	22
„დინამო“ (კ.)	15	7	7	1	16:5	21
„დინამო“ (თბ.)	16	7	7	2	19:11	21
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	15	8	4	3	28:11	20
„შახტორი“ (დ.)	15	6	7	2	19:18	19
„ტორპედო“ (მ.)	15	7	4	4	19:13	18
„დინამო“ (მნ.)	15	6	5	4	19:13	17
„სპარტაკი“	15	6	5	4	17:13	17
სკა (როსტ.)	15	6	3	6	15:20	15
„ზარია“ (ლ.)	15	4	6	5	12:12	14
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	15	2	10	3	7:7	14
ცსკა	15	6	2	7	14:17	14
„ტორპედო“ (ქ.)	16	3	7	6	12:17	13
„არარატი“ (ერ.)	15	3	6	6	10:16	12
„პახტაკორი“ (ტ.)	15	2	7	6	11-17	11
„ლოკომოტივი“ (მ.)	15	3	5	7	7:16	11
„ჩერნომორ“. (ო.)	15	2	6	7	9:18	10
„ზენიტი“ (ლ.)	15	4	2	9	8:22	10
„ალარატი“ (ალმ.)	16	1	7	8	9:23	9

ტელევიზია

16 ივლისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მაღვიძარა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „შვიდიდან თორმეტამდე“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ირმის ნახტომი“, 18.00 — კინონარკვევი, 18.10 — „მეტალურგის დღე“ — ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, 18.25 — კონცერტი მეტალურგთა დაკვეთით, 19.00 — სპორტული გადაცემა 20.45 — პოლონური მხატვრული ფილმი — „სიტყვა ეძლევა პროკურორს“, 22.00 — საღამოს შეხვედრები — საესტრადო გასართობი პროგრამა.

17 ივლისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — კინონარკვევი, 18.50 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალ „ოქროპირის“ სპეციალური გამოშვება, 19.50 — გადაცემა — „დაწყებული ფირები“ კინოთეატრ „კოსმოსში“, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — გადაცემა — „თეატრის შემოქმედებითი ძალა“, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.00 — მხატვრული ფილმი „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს. 30 წ., საღამოს 16 ს. 20 წ.

ჩაჯ ვიცასოთ, ჩაჯ ეოვისქილოთ

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

იკაროსის საფრთხე

დაუჯერებელი სიტუაცია — დედამიწისა და ასტეროიდ იკაროსის შეჯახება — მეცნიერული კვლევის საბაბი გახდა

ერიმპაა!

22 მაისს გაზეთმა „ჩიკაგო სანტაიმსმა“ გამოაქვეყნა რიჩარდ ლეიუისის შენიშვნა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

1968 წლის 15 ივნისს ასტეროიდი იკაროსი, რომლის დიამეტრი დაახლოებით ერთი მილია, 4.000.000 მილზე ჩაუვლის დედამიწას. რა მოხდება, იკაროსის ორბიტა რამე მაზეზით რომ აღირიოს და იგი დედამიწისაკენ შემობრუნდეს? შესაძლებელია, თუ არა რაიმეს გაკეთება მის შესაჩერებლად ან მისი მოძრაობის ტრაექტორიის შესაცვლელად?

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი ამ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ასტეროიდის შეჩერება შესაძლებელია. ისინი წინადადებას იძლევიან გამოყენებულ იქნას რაკეტები „სატურნი-5“ და ატომური ბომბებით ააფეთქონ ასტეროიდი იკაროსი.

იკაროსისთვის გზის გადაღობვის პრობლემას სწავლობდნენ ილინოისის შტატის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კოსმოსურ მეცნიერებათა ცენტრის სპეციალისტებიც.

და აი, დავუშვათ, მოხდეს მთლად დაუჯერებელი ამბავი — იკაროსი დედამიწისაკენ გამოემართოს? გაანგარიშების თანახმად ასტეროიდი დედამიწას შეიძლება დაეჯახოს 1968 წლის 19 ივნისს 06.26-ზე ჩიკაგოს დროით. შეჯახების წერტილი იქნება ატლანტის ოკეანეში ფლორიდიდან აღმოსავლეთით 2.000 მილზე. ამასთან განიდევნება ათასობით კუბური მილი მიცულობის წყალი, ხოლო ოკეანის ფსკერზე გაჩნდება 15 მილი დიამეტრის კრატერი.

შეჯახების დროს განთავისუფლებული ენერგია 500 მილიარდი ტონა ტრინიტროტოლუოლის აფეთქების ენერგიის ტოლი იქნება. ვეება მოქცევის ტალღები გაანადგურებს ქალაქებს ატლანტიკის ორივე სანაპიროზე. ჰიპოტეზური გაანგარიშებით პირისაგან მიწისა აღიგვება ნიუ-იორკი და ბოსტონი, ოკეანე შთანთქამს მთელ ფლორიდას, მოხდება გიგანტური მიწისძვრები.

კოსმოსში ასტეროიდ იკაროსის აფეთქებას დასჭირდება 9 მთვარის რაკეტა „სატურნი-5“: 3 რაკეტა საფრენი გამოცდისათვის და ექვსიც — ასტეროიდის მოსასპობად. პირველი რაკეტა გაშვებულ უნდა იქნას 1968 წლის 7 აპრილს, როცა იკაროსი დედამიწას დაუახლოვდება 100 მილიონ მილზე. სავარაუდოა, რომ ეს რაკეტა (რომლის ქიმზეც ბომბი იქნება) დაახლოებით 6 ივნისს გზას გადაუღობავს ასტეროიდს მის ორბიტაზე მზის ირგვლივ.

„ნიდელია“.

რამდ